13/01/11-02

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 11 იანვარი 2013 წ.

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს “ტოიოტა ცენტრი თბილისი” წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ირაკლი გურჩიანის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.
1.2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველის“ საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისათვის „მიმწოდებლის“ სერვისულ სადგურში ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება (CPV50112000), მათ შორის საცხებ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების შეცვლა და სხვა სახის მომსახურება.
1.2.2. „მიმწოდებელი“ ადასტურებს, რომ იგი მზადაა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ავტომანქანებს ჩაუტაროს ტექნიკური მომსახურება ტოიოტას სერვისული მომსახურების გრაფიკის დაცვით.
1.2.3 ტოიოტა ცენტრი თბილისის მიერ გაწეული ტექნიკური მომსახურება უწყვეტი და მუდმივია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
1.2.4. ამ ხელშეკრულების თანახმად „მიმწოდებელი“ გაუწევს სერვისულ მომსახურებას ყველა ზემოთ ნახსენები პირობების გათვალისწინებით, შემდეგ ავტომობილებს:

მოდელი:	ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო	ESC 005
	ტოიოტა ქამრი	ESC 007
	ტოიოტა ქამრი	ESC 009
	ტოიოტა კოროლა	FCF 070
	ტოიოტა ჰაილუქსი	FCF 090

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ უნდა აღემატებოდეს 3068 ლარს დღგ-ს ჩათვლით, 2600 ლარს დღგ-ს გარეშე.

3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის და ვარგისი იქნება ამ სახის ობიექტის ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. მომსახურების გაწევის საერთო ვადა განისაზღვრება 2013 წლის 11 იანვრიდან 2013 წლის 31 მაისის ჩათვლით, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება მომსახურების შესრულების მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიმწოდებლის დასაბუთებული მოთხონით შესაძლებელია ზემოთაღნიშნული ვადის გაგრძელება.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისათვის“ ანაზღაურება მოხდება პერიდულად შესრულებულ თითოეულ სამუშაოზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე შესაბამისი საგადასახადო და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
7.1.1 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული მომსახურების მიღება.
7.1.2 მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.4.1. წარმოადგინოს „შემსყიდველისათვის“ ანგარიში (დეფექტური აქტი) თითოეულ შესასრულებელ სამუშაომდე, რომელიც დადასტურდება სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
7.4.2. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.4.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის, მის მიერ

დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია 1.2. მუხლში აღნიშნული სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში საკუთარი ხაჯებით გამოასწოროს უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ასეთის გამოვლენის დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგების გამოსწორება, „მიმწოდებელი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსყიდველს“ ფაქტობრივად მიყენებული ზარალი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 11 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 მაისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ასევე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა დაუძლეველი ძალის გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ შპს „ტოიტა ცენტრი თბილისი“
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 ტელ: 240-14-20 სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE61BG0000000168285400 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE83BG0000000121227200 საიდენტიფიკაციო კოდი 211346220
ირინა მილორავა გენერალური დირექტორი	ირაკლი გურჩიანი პრეზიდენტი